სახალხო გაზეთი

№ 596 პარასკევი, 11 მაისი, 1912 წ. № 596

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10—საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

20 მაისს, „ახალ კლუბში“ გაიმართება

სეირნობა ბაზრით

საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქართველ საზოგადოებას **დახმარებას.** ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული. შემოწირულება მიიღება „საზოგადოების“ კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, საღამოს 6—9 საათამდე. (0.1254.1

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს“.

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის I რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

10 მაისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამთო ინჟენერი

დავით ვასილის ძე გაბაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები: **გენერალ-მაიორი ვასილი დავითის ძე** და **ნინო ნიკოლოზის ასული გაბაშვილები** და **განსვენებულის მეუღლე ელისაბედ თევდორეს ასული.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (1.439.1)

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

კვირას, 13 მაისს 1912 წ.

წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ ელ. ჩერქეზიშვილის და ოლ. ლეჟავას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

კომედ. 4 მოქმ. **ხანუმა** ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბადრიძე, კორინთელი, სოფ. რომანიშვილი, მ. ქართველიშვილი, ო. ლეჟავა, თ. ყიფშიძე, ყოჩიშვილი ელ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი გ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, ა. ნარი, ვ. ნინიძე, გ. ჯაბაური, კ. ხახანაშვილი, დ. ჩიქოვანი, ნ. ჭამკვეტაძე. დასაწყისი 8½ საათზე.

ადგილების ფასი: 50 კაპ. 5 კ.-დე. რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ადმინისტ. **სვ. ჯულელი.** მორიგი წევ. **ის. ჭანტურია** (4—[illegible]2[illegible]4—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

[illegible]	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., ხამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
[illegible]	ექიმი-ქალი **გერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
[illegible]	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
[illegible]	**ბოენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
[illegible]	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
[illegible]	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—334)

ახალი კლუბი

პარასკევს, 11 მაისს 1912 წ.

ჩვეულებრივად სინემატოგრაფი

ს. ო. ივანიცკაიასი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. (1.1241.1)

ქუთაისში

ძმ. ე. და პ. სააკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.

და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ქესტი“, სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი სალებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია. (25 1195.23)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის“,

25 ცალი 15 კ. ❀ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები“

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.41)

ქუთაისი

შუაგულ ქუთაისში, „მწვანე ბაზარში“, **ახლად გაიხსნა ლამაზად გაკეთებული და მორთული პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

„ბრისტოლი“, მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

ფასები ზომიერია. ქუთაისი (25.1194.24)

ქუთაისი ქუთაისი

მერძევეთა ამხანაგობა

„ლილო“

ამით აუწყებს რძის მომხმარებელთ, რომ იგი 15 მაისიდან იწყებს **ნამდვილ რძის გაყიდვას ხელსაყრელ ფასებში.** მსურველთ უნდა მიმართონ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანს, ბარიათინსკის ქ., № 5. **მთავარი გამგე სოლომონ ბაღაშვილი.**

(2.1258.1)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.

ფოთში—იონა მეუნარგიასთან.

სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.

სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.

სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.

ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.

თელავში—თამარა აბაშიძესთან.

ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.

ბაქოში—ილია აგლაძესთან.

ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.

ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1033—220)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—53).

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ტელეფ. 296 ბალი **ედემი** ვერაზე ტელეფ. 296

ყოველ დღე 2—6 და საღ. 10—2 საათამდე უკრავს ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი **ბ. კაზიმირის** ხელმძღვანელობით.

ბაღშია მოწყობილი სამზარეულო ქართულ-ევროპიულ საჭმელ-სასმელებით. შეიძლება დაკვეთა სადილ-ვახშმებისა. სანოვაგე ყოველთვის ახალ-ახალი.

(5— 255—1) **ბაღის პატრონი კ. ბაქრაძე.**

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული** და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 298)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე, საზენიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.22)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდ. ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606 -

(წლ.—1018—266)

ექიმი კბილისა ნინო რუხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 164)

ექიმი ნ. ტ. მუღინი

სნეულებანი: ყელისა, ყურისა და ცხვირისა იღებს შუადღის 12—2 საათამდე ❀ საღამოს 6—8 საათამდე. სერგიევის ქუჩა № 3. (1—442—1)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა. ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—33)

ექიმი კბილისა არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.32)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.108).

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—155).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—89)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

ტფილისი, 11 მაისი

თავად-აზნაურთა კრების მოლოდინში.

წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ თავად-აზნაურთა მომავალ კრებებზე ბევრს არა სასურველ მოვლენას წავაწყდებით. ჯერ კიდევ ერთი თვის წინად პრესის ერთს ნაწილში ისეთი შეუფერებელი პოლემიკა გაიმართა, იმდენი ათასნაირი პირადი, ან ღრმა საიდუმლოებით მოცული ინტერესი გადაიხლართა ერთმანეთში, რომ მკითხველი და თავად-აზნაურობის საქმეებს ცოტა დაშორებული საზოგადოება თავსა და ბოლოს ვეღარაფერს უგებდა. ყველა ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ წელს მარშლების არჩევანია. არჩევნები კი ჩვენში დიდს მიხლა-მოხლასა და კორიანტელს იწვევს ხოლმე.

ამისთანა პირობებში მოუხდება მუშაობა თავად-აზნაურთა კრებას.

მთელი უკმაყოფილება ერთმანეთისადმი, პირადი სიძულვილი, შეურაცხყოფილი თავ-მოყვარეობა ამ კრებებზე იჩენს თავსა და ბევრს ფრიად საყურადღებო, თავსატეხ და სასარგებლო საქმეს დაჩრდილავს.

აი, სწორედ აქ შეუძლიან ოპოზიციას გამოიჩინოს თავისი დისციპლინა, პრინციპიალობა. თუ ოპოზიციამ მოახერხა, თავისი გამოზომილი მოქმედებით სათავეშივე ჩაჰკლა ინტერესი ყველა იმ არა სასიამოვნო საკითხებისადმი, რომელთაც კერძო ხასიათი აქვთ, და გაადვიძა ინტერესი საზოგადო პრინციპიალურ საკითხებისადმი, — ამით ოპოზიცია დიდს სამსახურს გაუწევს საზოგადოებას.

საკითხი კი მრავალია. ჩვენი ცხოვრება ისე გართულდა, იმდენი მოთხოვნილება დაიბადა, რომ წესიერი მოწყობა საზოგადოებრივ დახმარებისა ბევრს შრომასა და დაკვირვებას მოითხოვს. ჩვენს გაზეთს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რა უფრო საჭირო დღეს ჩვენთვის, ან რანაირი მიმართულება უნდა მიიღოს თავადაზნაურთა ქონების განაწილებამ. ამიტომ ეხლა აღარ გავიმეორებთ.

გვინდა მხოლოდ ერთხელ კიდევ მოვაგონოთ ოპოზიციას, რომ იგი ვალდებულია წინდაწინვე გაითვალისწინოს მოსალოდნელი არა სასიამოვნო მოვლენები კრებებზე და ეხლავე შეიმუშაოს ზომები, რომ კამათს საზოგადოებრივი ხასიათი და ინტერესი არ დაეკარგოს.

სომხური პრესა

„ზიგზაგი“-ს საქციელის გამო.

„ზიგზაგის“ წერილების გამო გაზეთი „მშაკი“ შემდეგსა სწერს: „ამ დღეებში ადგილობრივი ქართული და რუსული გაზეთები გართულნი არიან ერთი კამათით, რომელიც ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებსა და საზოგადოებაზე.

ყველამ იცის, თუ ქართველთა დიდ მეფეს თამარს როგორი სახელი მოუპოვებია არა თუ მარტო საქართველოში, არამედ წინა აზიაშიაცკი. იგი თავისი დიდ საქმეებით მარტო სახალხო გმირი არ არის. ხალხმა იგი შეამკო წმიდანობით, მას ჰქვიან „წმიდა თამარ მეფე“, როგორც ჩვენ, სომხები, წმიდას უძახით ჰრიფსიმე და სარდალ ვართანს. ამ ბოლოს დროს „ტფილისის ლისტოკის“ თანამშრომელმა ზიგზაგმა, თავის ერთს. წერილით ადგილობრივ „ზაკავკაზიეს“ მიმართა, შეეკითხა მას, თუ რისთვისაა „წმიდანი მეფე თამარი. ამ გვარი შეკითხვა უსათუოდ შეურაცხყოფად უნდა ყოფილიყო მიღებული და ახსნილი, და ასეც მოხდა.

ამ შეკითხვაში ქართველებმა დაინახეს ერთ გვარი შეურაცხყოფა თავიანთ ეროვნულ ღირსებისა. „ზაკავკაზიემ“, „ზაკავკასკაია რეჩმა“ და ქართულ გაზეთებმა აღშფოთებული წერილები მოათავსეს „ტფილისის ლისტოკის“ და მის თანამშრომლის „ზიგზაგის“ წინააღმდეგ და ბრალი დასდეს მას ქართველთა ეროვნულხალხოსნურ გრძნობების შეურაცხყოფაში.“

ამის შემდეგ გაზეთი ეხება „ზიგზაგის“ განმარტებას და ბოლოს ამბობს: „ჩვენის აზრით „ზიგზაგი“ დამნაშავეა იმაში, რომ მან, როდესაც დარწმუნდა, რომ მისი შეკითხვა სწორედ ვერ გაიგეს არ გაასწორა თავის შეცდომა. ამის ნაცვლად მან გაიმეორა თავის შეკითხვა, ეკლესიამ როდის მიიღო თამარ მეფე წმიდათა რიცხვშიო. ერთ წუთს წარმოვიდგინოთ, რომ ეკლესიას ამ გვარი ოფიციალური განაჩენი არ დაუდგენია. ნუ თუ ეს სულ ერთი არ არის, როდესაც ქართველმა ხალხმა წმიდათა რიცხვს მიუმატა თამარ მეფე და წმიდანათა სცნობს?

ხოლო „ზაკავკაზიეს“, „ზაკავკაზ. რეჩს“ და ქართულ გაზეთებს ვურჩევთ ტყუილ უბრალოდ შეურაცხყოფილად არა სცნონ თავიანთი თავი და საზოგადო აზრი არ ააშფოთონ; მეტადრე ამ საქმეში არ ჩაურიონ სომხის სახელი, ვინაიდან ფრიად ცხადია, რომ სომხის ხალხი არა ნაკლებ პატივსა სცემს ახლაც და წარსულშიაც მეფე თამარის ხსოვნას.

*
* *

მეორე სომხური. გაზეთი „ჰორიზონი“ სწერს: „ჩვენი საზოგადოებრივი და სალიტერატურო ჩვეულების დამახასიათებელი აყალ-მაყალია დღეს ტფილისის პრესაში. აი რამ გამოიწვია იგი. საქართველო იხსენიებს თავის ჩინებულ თამარ მეფეს მის სიკვდილიდან 700 წლ. შესრულების გამო. ეს საქართველოს ხელუხლებელ და წმიდა უფლებას წარმოადგენს, ამით იგი იხსენიებს თავის ისტორიის ფრიად ბრწყინვალე ფურცლებს, იმ ხანას, რომელიც საქართველოსათვის პოლიტიკურ, კულტურულ და ლიტერატურულ განვითარების ოქროს საუკუნეს წარმოადგენდა. თუ რა არის მეფე თამარი საქართველოსათვის, შეიძლება გაიგოს ყველამ ამ ქვეყნის ისტორიიდან. საკმარისია დავინახოთ, თუ როგორის აღფრთოვანებით ეხებიან მას ქართველი მემატიანენი. მას უწოდებენ მეფეთა მეფის სახელს, მის ღირსეულების, მის კეთილ საქმიანობის ქებისათვის სიტყვას ვერ ჰპოულობენ აღფრთოვანებით გამსჭვალული მემატიანენი. თქვენ ჰხედავთ სახალხო თაყვანის ცემას, ეროვნულ სიწმინდეს. თამარის ბრწყინვალე მეფობა სრულს უფლებას აძლევს ქართველ ხალხს განდიდებულად წარმოიდგინოს იგი. ლოცვები და მთელი თხზულებები შეუთხზავს ქართველთა მწერლობას დიდი მეფის სახსოვრად, რათა საუკუნო ქება-დიდება შეასხას მას. იგი უწმინდეს ლეგენდების და თქმულებათა საგანია. მისი სახელი დღეს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაშია ძლიერ საყვარელი და გავრცელებულია. ამგვარ ადამიანის ხსოვნას კიდეც უქმობენ. მხოლოდ პატივისცემის გრძნობით უნდა მიუახლოვდეთ ერთათვის წმიდათა წმიდად გადაქცეულ სახელებს, მხოლოდ უღრმესი პატივის ცემა შეიძლება გამოიჩინოს ადამიანმა იმ სალოცავის წინაშე, რომელშიც ამა თუ იმ ხალხს ჩაუწვნია თავისი საუკეთესო იდეალები, თავისი ეროვნული კეთილთვისებანი. ასეთი უნდა ყოფილიყო ყოველ არა ქართველის მოპყრობა ისტორიულ მნიშვნელოვან დღის მიმართ, მაგრამ, როგორც იცით, არსებობს თანამედროვე პრესაში ენაქარტლიანი ხალხი, რომელიც მზად არის, საბულვარო ფელეტონის დასაწერად, სული მისცეს.

ადგილობრივმა „ტფილისის ლისტოკმა“ მოათავსა ვიღაცა „ზიგზაგის“ ფელეტონი რომელიც ხვედრის პატივის ცემით არ იხსენიებდა მეფე თამარის სახელს.

ქართველი ხალხი წმიდათა სთვლის თავის სახელოვან მეფეს, ქართული ეკლესია ლოცვა-კურთხევით ამკობს მის ხსოვნას, დაუფიქრებელი ფელეტონისტი კი, იმის ნაცვლად, რომ ცოდნა შეეძინა, ამბობს, სადაური წმიდანია თამარიო? ამ მოვლენამ ააშფოთა ქართული პრესა. და ეს ადვილი გასაგებიცაა. მაგრამ ფელეტონისტმა უკან დახევის ანუ გაჩუმების მაგივრად, უფრო სამარცხვინო ფორმებს მიჰმართა.

უაზრო განმარტებამ უფრო ააშფოთა ქართული პრესა. უცნობმა მწერალმა და მის მასპინძელმა გაზეთმა მიიღეს ის, რაც დაიმსახურეს. დაამტკიცეს, რომ იგინი უვიცნი და ქუჩის ხალხნი არიან...“

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქართველ სამღვდელოების წარმომადგენელთა პროტესტი.** „ტიფ. ლისტ“-ისა და მის თანამშრომლის ზიგზაგის გამოლაშქრების გამო, რომლითაც შეურაცხყოფილ იქმნა წმიდა თამარ მეფის ხსოვნა, ღრმა აღშფოთებასა და პროტესტს აცხადებენ: ეპისკოპოსი ანტონი, ეპისკოპოსი დავითი, არქიმანდრიტი პიროსი, არქიმანდრიტი ნაზარი, დეკანოზი მ. ტყემალაძე, დეკანოზი კ. ცინცაძე, მღვდელი ვ. კარბელაშვილი, მღვდ. ზ. გულისაშვილი, დეკანოზი კორ. კეკელიძე, მღვდელი ი. გამრეკელი, მღვდ. ი. შუბლაძე, მღვდ. გ. გამრეკელი, მღვდ. ი. ბერიძე, დეკანოზი ნ. თალაკვაძე, მღვდ. ირ. გურგენიძე, დეკანოზი ს. შოშიაშვილი, დეკანოზი მ. მონასელიძე, მღვდ. დ. ლაზარევი, მღვდელი ისაკ ჩეკურიშვილი, დეკანოზი ნესტორ მაკარაშვილი, მღვდელი ვასილ ხახიშვილი, მღვდ. დავით გარსიაშვილი, მღვდ. ეპიფანე სხირტლაძე და მღვდ. იოსებ ჯიჯავაძე.

◆ **ეპისკოპოსმა დავითმა** გუშინ შემდეგი დეპეშა მიიღო თელავიდან: „დღეს წმ. დავით გარეჯელის დღესასწაულის დღეს, წერა-კითხვის საზოგადოების თელავის განყოფილება გილოცავთ თქვენ, ამ განყოფილების საპატიო წევრს, სახელწოდების დღეს და უზენაესსა ვთხოვთ, მოგანიჭოთ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, ივერიის ეკლესიისა და მართლმადიდებლობის საკეთილდღეოდ.

◆ **იაკობ გოგებაშვილს** უკეთესობა ეტყობა. ექიმთა თათბირი დღეს მოხდება. რედაქციას ბევრი წერილები მოსდის დაბა-სოფლებიდან, ყველანი მალე განკურნებას უსურვებენ პატივცემულ პედაგოგს.

◆ **თამარის დღესასწაული იურევში.** პირველ მაისს, თამარობას, იურევის ქართველთა სათვისტომოს გაუმართავს დღესასწაული. ხალხი ბლომად დასწრებია. დღესასწაულს ჩინებულად ჩაუვლია. საგულისხმოა, რომ ამ დღესასწაულში მთელ სათვისტომოს მიუღია მონაწილეობა პარტიულობის მიუხედავად.

◆ შაბათს, 12 მაისს, საღამოს 7 საათზე დეპუტატთა საკრებულოში დანიშნულია **კრება იმ პირთა, რომელთაც ჰსურთ სააქციონერო საზოგადოება დაარსონ ახალციხის „კიშელგურის“ საექსპლოატაციოდ.** კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება კომისიისა იმის შესახებ, თუ რა ტიპის ამხანაგობის დაარსება სჯობია. ამავე კრებაზე განიხილავენ მომავალ ამხანაგობის წესდებას. მსურველთ შეუძლიანთ დაესწრნენ.

◆ **წვრილ კრედიტის დაწესებულებათა დათვალიერება.** ფინანსთა სამინისტროს ნებართვით წვრილ კრედიტის საქმეთა მთავარი სამმართველო ტფილისის გუბერნიაში თავის რევიზორს ა. ა. ვასილევს ჰგზავნის წვრილ კრედიტის დაწესებულებათა დასათვალიერებლად და იმ პირობების გამოსარკვევად, რომელიც ხელს შეუწყობს წვრილ კრედიტის საქმის გავრცელებასა და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას. ამ ამბავს ტფ. გუბერნატორი მაზრის უფროსებს აცნობებს და წინადადებას აძლევს, ბ-ნს ვასილიევს მოგზაურობის დროს ყოველ გვარი კანონიერი დახმარება აღმოუჩინონ.

◆ **თავის მოკვლის განზრახვით** 4 მაისს საწამლავი დალია მასწავლებელმა ქალმა ფლორიდა [illegible] ასულმა [illegible], (21 წლისა) რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **მეცხვარეებზე თავდაცემა.** 8 მაისს, შუადღისას, ტფილისში ცნობა მოვიდა, სკოტობოინის ძირის მახლობლად შინდორში ვიღაც უცნობი თავს დაეცნენ მეცხვარეებს, რომელთაც ცხვარი ტფილისში მოჰყავდათ, ცხვარი წაართვეს და საშინლად აგვემეს ჯოხებითაო. ნამდვილ ამბის გასაგებად მექვსე საპოლიციო უბნის ბოქაული გაეგზავნა, რომელმაც შინდორში მართლაც იპოვა მძიმედ ნაცემი დასისხლიანებული და ხანჯლით გონ-დაკარგული მეცხვარეები: სიღნაღის მაზრის სოფელ არბოშიკის მცხოვრებნი ხალ. ილიას ძე ბათიაშვილი და მიხეილ ვასილის ძე სეხნიაშვილი. ესენი იმდენად ნაცემი იყვნენ კეტებით, რომ უძრავად იწვნენ და კითხვებზე პასუხს ვერ იძლეოდნენ. მესამე ამხანაგმა ლუა პეტრეს ძე კირვალიძემ, რომელიც თავდამცემთ სიბნელეში დამალვოდა, განაცხადა, თავდამცემნი კარგად ვიცანი, ისინი იყვნენ ტფილისის მცხოვრებნი ვასილ [illegible] ძე ჯარაშნელოვი და არტემ ივანეს ძე აბაშიძე. დაშავებული ბათიაშვილი და სეხნიაშვილი მიხეილის საავადმყოფოში მოასულიერეს და მათაც კირვალიძის სიტყვა დაადასტურეს და დაუმატეს. 48 მან. ფული და ხანჯალი წაგვართვესო. აბაშიძე და ჯარაშნელოვი შეიპყრეს. ხანჯალი მართლაც აღმოაჩნდათ. დანაშაულში გამოტყდნენ.

◆ 9 მაისს, დილით, სკოტობოინი ქუჩაზე პოლიციამ **შეიპყრო უცნობი ქალი,** რომელიც ქუჩაზე შერყეულსავით ჰგავდა და მამუკას სოფელში დადიოდა ბოხჩით, რომელშიაც ბერდენის 13 პატრონა აღმოჩნდა. კაბაში აღმოაჩნდა ხანჯალი. როგორც თვითონ განაცხადა, იგი ყოფილა დიდი გომარეთის (ტფ. მაზრა) მცხოვრები ეფემია ალექსის ასული მაისურაძე და პატრონები და ხანჯალი ორხევის სადარაჯოზე ღამით ჩაფრისთვის მოუპარავს. ქალი მაზრის უფროსთან გაუგზავნეს.

◆ 13 მაისს **„განათლების“** საზოგადოების სკოლა მართავს **ხელსაქმისა და ხატვის ნიმუშების გამოფენას** სკოლისვე შენობაში (სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6) გამოფენა დაიწყობა ნაშუადღევის 12 საათიდან და გაგრძელდება 4 საათამდე.

◆ ორშაბათს, 14 მაისს, მუშტაიდის ბაღში **„განათლების“** საზოგადოება მართავს **სახალხო სეირნობას** თავის საშუალების სასარგებლოდ. სხვა და სხვა გასართობები: ბედის ქვევრი, უფასო სინემატოგრაფი, ვისია ყანწი, ლოტორეია ალეგრი, ყვავილები და სხვა გამართული იქნება მასწავლებლების ხელმძღვანელობით საბავშვო თამაშობა და ეტლით სეირნობა. ალეგრისთვის შემოსაწირი ნივთები შეუძლიანთ მიიტანონ „ჯეჯილის“ რედაქციაში (არტილერიის ქუჩა 5).

◆ **8** მაისს ტფილისში 69 უპასპორტო შეიპყრეს, 9 მაისს 65.

◆ **შეპყრობა.** 8 მაისს ტფილისში შეიპყრეს სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბეს მცხოვრები ნიკოლოზ ივანეს ძე ზურაბიშვილი, რომელსაც სასამართლო კარგა ხანია დაეძებდა, ბრალდებულ ვაჭრის სარქის ყაზაროვისაგან ათას-ორასი მან. მოპარვა.

◆ 7 მაისს შერემეტიევის ქუჩაზე ტრამვაის **ვაგონიდან ჩამოვარდა** და მსუბუქად დაშავდა 60 წლის დედაბერი მარიამ ივანეს ასული ალექსეევისა.

◆ 8 მაისს ელისაბედის ქუჩაზე იპოვეს მამრობითის სქესის ბავშვი, დაახლოვებით ერთი თვისა, ბავშვი ოლგას სახელობის ინსტიტუტში გაგზავნეს.

სომეხთა ცხოვრება

◆ პირველად „ალბიურტარაზის“ რედაქციასთან მყოფ სალიტერატურო-ხელოვნურ სალონში მაისის 18-ს, ხოლო მაისის 20-ს არტისტიულ საზოგადოების თეატრში გაიმართება წარმოდგენა ქალთა საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით. წარმოადგენენ გ. სუნდუკიანცის „დაქცეულ ოჯახს“ საიუბილეო კომიტეტის წევრთა მონაწილეობით. ამ წარმოდგენის შემოსავლით გამოიცემა სალიტერატურო კრებული ქალთა საკითხის შესახებ. მაისის 26-ს, დილით ხოჯივანქის სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი „მშაკის“ დამაარსებელ გრიგორ არწრუნის სულის მოსახსენებლად. ამავე დღის, საღამოს, სახელმწიფო თეატრში გაიმართება იუბილეო საკონცერტო განყოფილებით [illegible] მოხდება საიუბილეო მილოცვა. მაისის 27-ს მოხდება ბანკეტი, რითაც დასრულდება იუბილე.

თელავი

◆ **შუამთის მონასტრის კრებული,** 6 მაისს, პარაკლისის გადახდის შემდეგ, **გამოეთხოვა** საყვარელ მღვდელთ მთავარსა და ამ მონასტრის წინამძღოლს **ეპისკოპოსს დავითს.**

დიდუბე იღვიძებს...

ყველამ კარგად იცის, რომ დიდუბე, შედარებით სხვა უბნებთან, მეტად ღარიბია კულტურულ დაწესებულებით. თავის თავად ცხადია, რომ აქ უმთავრესი დანაშაული თვითონ დიდუბელთა მიუძღვით. დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ, დიდუბელებმაც მოჰკიდეს ხელი თავის ბედის გაჭედვას. შესდგა ჯგუფი, რომელიც დიდის ენერგიით და მხნეობით შეუდგა მუშაობას. პირველად ხომ ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსეს. ეხლა იმავე ჯგუფს გადაუწყვეტია დაარსოს დიდუბეში **თეატრი.** ეს დიდუბისათვის უპირველეს მოთხოვნილებას შეადგენს, რადგანაც ნაძალადევის თეატრი და სახალხო სახლი ძლიერ შორს არის და ამის გამო უმრავლესობა აქაური მცხოვრებლებისა მოკლებულია თეატრში სიარულს. თეატრი განზრახულია გაშენდეს ბ. ალ. თუთაევის სახლში. (იქვე ბიბლიოთეკაა). სპეციალისტების აზრით ეს სახლი გამოსადეგი იქნება თეატრისათვის. ჯგუფს დიდი ენერგიის დახარჯვა და უნარის გამოჩენა დასჭირდება ამ საქმის პირნათლად დაგვირგვინებისათვის და ჩვენი მოვალეობაა გავუწიოთ მას ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება.

ნ. ირემაძე.

თევზაობის მსხვერპლი

(სადგური აჯიქაბული)

7 მაისს აქ ფრიად გულ შემზარავი ამბავი მოხდა: ორი ყმაწვილი ადგილობრივი მეთორნის მოჯამაგირეები მცხოვრებნი რაჭის მაზრისა ვიქტორ მჟღებაძე 20 წ. და ზინობ ბაკურაძე 18 წლ. წასულან ტბაზე (3 ვერსის მანძილზეა) სათევზაოდ, თევზის ჭერის დროს შესულან შიგ ტბაში. ერთი მათგანი იქავე ჩაუძირავს და იმ წამსვე დამხრჩვალა მეორე კი გამოუტანიათ რიყეზე ცოცხალ-მკვდარი. მაგრამ იმასაც რიყეზე სული დაულევია. იმ ღამესვე მოასვენეს თავის ბინაზე. 9 მაისს ნაშუადღევის 2 საათზე ორივე მსხვერპლი ქართველმა საზოგადოებამ ქრისტ. სასაფლაოზე მიაბარა მიწას. ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ტბა-ტალახის მსხვერპლნი გამხდარან. ამისთვის სასურველია ზომები მიიღოს ვისიც ჯერ არს ან სულ აუკრძალონ თევზაობა ან არა და დარაჯი დააყენონ ასეთ საშიშ ალაგზე.

დროებით აქაური.

ლიტერატურული სილუეტები.

ვ. ბარნოვი.

არსებობს ერთნაირი საზომი, რომლის შემწეობით თითქმის უტყუვრად შეიძლება განიზომოს მწერლის თუ მხატვრის ნიჭი და სიმწიფე ან მისი უნიჭობა და უსუსურობა. ეს საზომი პერსპექტივაა. ახლად ფეხადგმულმა, განუვითარებელმა მხატვრობამ არ იცის რა არის პერსპექტივა: ის საგნებს ბრტყლად ჰხატავს კედელსა, ნოხსა თუ ტილოზე, თითქო ეს ქვეყანა პლანიმეტრიული ფიგურებისა ან ფერადი აჩრდილებისაგან შესდგებოდეს და არა ცოცხალ პლასტიურ სხეულებისაგან. ის საგნებს ერთი-მეორეს გვერდით ათავსებს, რადგან მას არ ძალუძს გადმოგვცეს სივრცის სიღრმე.

განვითარებული მხატვრობა კი პირიქით, თვალწინ შორეულს ჰორიზონტს გვიშლის. ის გვანახვებს, რომ ჩვენს ქვეყანას სიფართოვეს გარდა სიღრმეც აქვს, რომ ჩვენ მოარულნი აჩრდილნი კი არა ვართ ან ბრტყელნი ფირფიტნი, არამედ ხორცშესხმულნი ადამიანნი.

ასეა მწერლობაშიც. უნიჭო მწერალი თავის ნაწარმოებში მხოლოდ ცხოვრების ზედაპირს გვაძლევს. ის ხშირად ჰლამობს დაგვისურათოს რაიმე საგმირო, დიადი, არა ჩვეულებრივი მოვლენა, რომელიც მას ამ ზედაპირზე შეუმჩნევია. მაგრამ ამ სურათს აკლია სიღრმე, აკლია ფართე პერსპექტივა, აკლია დამაჯერებელი ძალა. თითქო მის უკან ბნელი, ნაცრისფერი ფარდა იყოს ჩამოშვებული: ის ხელოვნურად, ძალდატანებით არის გამოთიშული მთლიან ცხოვრების ურთიერთობისაგან და მის იქით თვალი ამაოდ ეძებს ცის კამარას.

ნიჭიერი მწერალი კი ფარდას ჰხდის ცხოვრების საიდუმლოებას მაშინაც კი, როცა პაწია და უმნიშვნელო მოვლენას გვიხატავს. ის ხშირად გვინათებს მხოლოდ ერთს კუნჭულს ბუნებისას, მაგრამ ამ კუნჭულის იქით დაუსრულებელს სივრცეს ვსჭვრეტთ და „თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა“. ის ხშირად უბრალო სიტყვებით უბრალო ამბავს მოგვითხრობს, მაგრამ ამ სიმარტივეში მსოფლიო არსებობის ამოცანებს გვაგრძნობინებს. ჩვენი ბარნოვიც სწორედ ასეთ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის.

ამ მწერალს პირველად მხოლოდ ამ სამიოდე წლის წინად გავეცანი, მაშინ გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მისი მშვენიერი პატარა მოთხრობა „სოვდაგარი“. ჩემი მაშინდელი გრძნობა წააგავდა იმ ოქროს მაძიებელთა გრძნობას, რომელნიც ხანგრძლივი და უნაყოფო ძიების შემდეგ ქვებსა და ქვიშაში ფარულს განძს პოულობენ.

და მართლაც ბარნოვი არა ჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენს ჩვენს დღევანდელს ლიტერატურაში. ის ერთის მხრივ ნიჭიერი ჟანრისტია. ის ხშირად გვიხატავს რამოდენიმე უბრალო ადამიანის ყოველ დღიურს ცხოვრებას ისე რეალისტურად, რომ თვითეული პიროვნება, თვითეული მოქმედება და გარეგანი მდგომარეობა პლასტიურად დამთავრებული სდგას მკითხველის წინაშე. ადამიანის გარეგნობის დასახასიათებლად ის მარტივს, მაგრამ ძლიერს საშუალებას ხმარობს: მას შეუძლია ორიოდე სიტყვით სისხლი და ხორცი შეასხას თავის გმირს და ნათლად გამოჰკვეთოს მისი განსხვავებული, ინდივიდუალური სახე. ამისთვის მას საკმაოდ მიაჩნია მოქმედი პირის ულვაშები დახასიათოს, ან სახის კანი და თმა, ან კიდევ ხელების მოძრაობა. სხვა ჩვენი დღევანდელი მწერლები (ორიოდეს გამოკლებით) კი ამ მხრივ ძლიერ კოჭლობენ. ისინი ხშირად არაჩვეულებრივს ღონისძიებას მიმართავენ, ეპოტინებიან ზეცას და ვარსკვლავებს, მაგრამ პიროვნული თავისებურობის გამოსახვას მაინც ვერ სძლებენ. ახალგაზდა ქალის სილამაზეს მაგალითად ქართულს ლიტერატურაში ტრადიციულად ასე ჰხატავენ: მას ჰქონდა ალვის ხის ტანიო, იტყვიან... სახე ბადრს მთვარეს ჰგავდაო... თმა შავი იყო გიშერივითო... წარბები კალმის წვერით დახატული, ხოლო ბაგენი ლალის ფერი მაისის ვარდივითო და სხვა და სხ.

ასეთი ლამაზი ფრაზები სრულიად უმნიშვნელოა ესთეტიურად, მიტომ რომ ისინი მკითხველის ფანტაზიაში ვერ იწვევენ ნათლად გარკვეულს სურათს: ალვის ხესთან შეერთებული მთვარე დაახლოვებით ისე ჰგავს ადამიანს, როგორც ჯოხზე ჩამოკიდებული ყვითელი თუხუქი. უეჭველია მხოლოდ ერთი რამ: ჩვენს მწერლებს უმეტეს ნაწილად აკლიათ ნიჭი დაკვირვებისა. და ეს ხომ ცნობილია: სადაც უნიჭობაა იქ ყველაზე მაღლა სცემს ლამაზ სიტყვათა შადრევანი.

ადამიანის შინაგანს ხასიათსა და გარეგნობაში ბევრი რამ ტიპიურია და ზოგადი. მაგრამ ყოველს პიროვნებაში, რა რიგ უმნიშვნელო და ჩვეულებრივი არ უნდა იყოს ის, მოიპოვება ისეთი ინდივიდუალური, განუმეორებელი ნაკვთებიც, რომელნიც მის მეობას, მის თავისებურობას შეადგენენ. იმ ზოგადი და ტიპიური ელემენტების დანახვა თითქმის ყველას შეუძლია: ამ ნაზი-მიუწდომელი ნაკვთების შესამჩნევად და აღსაბეჭდად კი განვითარებული მხატვრული ალღოა საჭირო.

ბარნოვს აქვს ეს ალღო, მიტომ რომ, როგორც ვსთქვით, ის ერთის მხრით პლასტიური ფანტაზიით აღჭურვილი მხატვარია, მაგრამ ამასთან ერთად ის ღრმა და დაკვირვებული ფსიხოლოგიც არის. ადამიანის გარეგნობა მას აინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასში სულიერი შინაარსი იხატება. ის გვახედებს ადამიანის სულიერს სიღრმეში. მაგრამ ის არასოდეს ცინიკურად არ ატიტულებს თავის გმირთა ფსიხიკას. ის მათ ერთნაირი სინაზით და სიფაქიზით ეპყრობა, თუმცა ხშირად აშკარად სჩანს რომ მათ არ თანაუგრძნობს. ის თითქო ერთგვარს მოკრძალებას გრძნობს მომაკვდავთა სულიერ განცდის წინაშე, თვით მაშინაც კი, როცა ეს განცდა მახინჯი და საზიზღარია. ამიტომ ბარნოვის შემოქმედება მკითხველის ზნეობრივს გრძნობას არასოდეს არ შეურაცხყოფს, რა გინდ სიმდაბლეს და გათახსირებას არ აშკარავებდეს ისა.

ეს იმითაც აიხსნება, რომ მის მიერ შექმნილი სურათების უკან მკითხველი ყოველთვის ავტორის სერიოზულს მოაზროვნე პიროვნებას ხედავს. ეს სურათები ყოველთვის კეთილშობილი, ეთიური მსოფლიომხედველობის ფონზეა დახატული. მაგრამ ხანდახან ეს ეთიური ფონი ხელს უშლის ბარნოვს ფრთა გააშლევინოს თავის ესთეტიურს შემოქმედებას. ის ხშირად სცდილობს მხატვრულად რაიმე წინასწარ აღებული ფილოსოფიური, ზნეობრივი ან სოციალური იდეა დაგვანახვოს (მაგ. „ტკბილს დედუკში“ ან „ხურდაში“). ეს კი ძლიერ სახიფათო და ძნელად ასასრულებელი საქმეა. ასეთს შემთხვევაში ავტორი ხშირად თავის და უნებურად მიუდგომელ შემოქმედის როლს ზნეობრივ რეზონიორის ან სოციოლოგის როლზე სცვლის და დანახული, ხორც-შესხმული ესთეტიურ სინამდვილის მაგივრად ისეთს რამეს ჰქმნის, რაიცა ძლიერ უახლოვდება მშვენიერს, მაგრამ უსიცოცხლო გეომეტრიულს სქემას.

ბარნოვი უპრეტენზიო მწერალია მისი ნაწარმოებნი ინტიმური, წყნარი პოეზიის ბურუსშია გახვეული. ის არ ჰყვირის: ის ხმა-დაბლა საუბრობს, მაგრამ ეს იდუმალი ჩურჩული უფრო სწვდება გულს ვიდრე პათეტიური ძახილი. ამ ხრივ ის უფრო თანამედროვე სკანდინაველ რომანისტებს ჰგავს, გუსტავ გაიერსტამს, ჰერმან ბანგს, კნუტ ჰამსუნს, ვიდრე ზოგიერთ ქართველ მყვირალა მგოსნებს, რომელნიც ღრიალებენ გულ-შემზარავად, თუმცა თვით არ იციან რა სტკივათ.

მას ძლიერ განვითარებული აქვს ბუნების მშვენიერების გრძნობა. მაგრამ ეს გრძნობაც ელემენტარული, გულუბრყვილო და ინტიმურია და არა შეგნებულად შეთხზული და ხელოვნურად აზრდილი. ის ამ გრძნობას შარა გზაზე არ გამოჰფენს გამვლელ-გამომვლელთა გასართობად, ის სასეირნო მოედანზე აყვავებული ალუბლის წინაშე მუხლს არ მოიდრეკს უნიჭო ჯამბაზივით. ხშირი ტყის მივარდნილს კუთხეში, აბიბინებულს ველზე ან ანკარა რუს ნაპირას ის ბუნების საკურთხეველზე სწირავს მხოლოდ ჩუმს და გულწრფელს ლოცვას.

ამ მხრივაც ბარნოვი ზოგიერთ თანამედროვე ევროპიელ მწერალს უფრო ჰგავს და იმ ფრანგ მხატვრებს, რომელთაც შექმნეს „ინტიმური პეიზაჟი“. მაგრამ ამ მსგავსების მიუხე-

აკაკი ზუგდიდში

რამოდენიმე წელიწადია, რაც ზუგდიდში გადასწყვიტეს დაარსებინათ აკაკის სახელობაზე წიგნთ-საცავ სამკითხველო. ააგეს შენობა და 6 მაისს კიდეც აკურთხეს იგი. ამ დღესასწაულზე დასასწრებლად სთხოვეს აკაკის ჩამობრძანება ზუგდიდში. 6 მაისს დილით კიდევაც გაემგზავრა აკაკი ზუგდიდისკენ. სოფ. ცაიშში დილის 11 საათზე მას მიეგებნენ: ექიმი მუჯირი, ბ. ნიკო ბერიძე და ნესტორი დავითაია. ექიმმა მუჯირმა მოკლე სიტყვით მიმართა ბ. აკაკის. გზა და გზა ზუგდიდამდის ხალხი ეგებებოდა მას დ თან მიჰყვებოდა. გზაშივე შეხვედრის დროს მოკლევე სიტყვა წაუკითხა აკაკის ქბ-ნ კობახიძისამ. დაბაში შემოსვლისას მას დახვდა ბ. ბერიძის პატარა ქალი, ცოცხალ ყვავილებისაგან გაკეთებული „ლირა“ მიართვა და პატარა სიტყვა უთხრა. აკაკი ჩამოსვლისთანავე პირ და პირ წავიდა დასასვენებლად ბ. ბერიძის ბინაზე. 12 საათზე სადარბაზოდ წავიდა თ-დ მინგრელსკისთან. პირველი საათის ნახევარი იქნებოდა, აკაკი და თ-დი მინგრელსკი მოვიდნენ სამკითხველოში. აქ პარაკლისი იქმნა გადახდილი და აკურთხეს შენობა. ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ბლაღ. მღვდელმა შენგელაიამ. შენობიდან გამოსვლისას აკაკის ტაშის ცემითა და „ვაშას“ ძახილით შეხვდნენ; აიყვანეს ხელში და ტაშის ცემითა და „ვაშას“ ძახილითვე საკრებულო დარბაზში შეიყვანეს და სცენაზე დასვეს. გამოვიდა სცენაზე თ-დი დ. ზ. ჩხოტუა და [illegible] სიტყვა წაიკითხა. შემდეგ ექიმმა მუჯირმა წაიკითხა ქართულად რეფერატი: „აკაკი წერეთელი და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მნიშვნელობა“. ბ. ნ. ბუკიამ წაიკითხა სიტყვა და კომიტეტის მოქმედება და შემოსავალ-გასავლის ანგარიში. აკაკიმ ყველა ამაზე სამადლობელი სიტყვა სთქვა და ისევ ბინაზე წავიდა დასასვენებლად ბ. ბერიძისას.

ამ დროს ჩაეწერნენ წევრები (85) და მოხდა არჩევანი ახალი გამგეობისა. არჩეულ იქმნენ: ბბ. ნიკო ბერიძე (25 ხმით), ექიმი იასონი მუჯირი (24 ხმით), ქ-ბ. ა. პატარაია (22 ხმ.), ვც. კეიდია (21 ხმ.) და ნინა გუგელია (20 ხმ.);

ოთხი საათისთვის ხელ-მოწერით საზოგადო სადილი იყო დანიშნული, ამ დროსთვის მობრძანდა ბ. აკაკი. სადილს დაესწრნენ უგანათლებულესი თავადი სამეგრელოსი ნიკოლოზი ნიკოლოზის ძე, მომრიგებელი-მოსამართლე, მაზრის უფროსი, მომრიგებელ-შუამავლები და მთელი ზუგდიდის ინტელიგენცია, რიცხვით ორასზე მეტი. სადილის დროს ბევრი მხურვალე სიტყვა წარმოითქვა. აღსანიშნავია სიტყვა ბ. მაზრის უფროსი ლავროვისა, ლექსი ბ. ბუკიასი და აკაკის ლექსი, პატარა ბერიძის მიერ სცენიდან წაკითხული. ბ. აკაკიმაც წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. სადილობის დროსვე ტფილისიდან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უმთავრეს გამგეობისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა: „მთავარი გამგეობა წერა-კითხვის საზოგადოებისა გულმხურვალედ ეგებება და გილოცავთ სასიხარულო მოვლენას სახალხო ბიბლიოთეკის გახსნისას. დაე იყოს იგი ცოდნის გამავრცელებელი, დაქსაქსულ ძალების შემაკავშირებელი დუღაბი გავრცელების საქმეში. ვსწუხვართ, რომ არ შეგვიძლიან დავესწროთ“.

სადილი გათავდა საღამოს 9 საათზე. ბ. აკაკი 7 მაისს საუზმეზე მიწვეული იყო უგანათლებულეს თავად მინგრელსკისთან, სადაც სხვათა შორის მინგრელიის თავადის მამიდა პრინცესსა მიურატიც იყო მიწვეული. საუზმის დროს თავადმა ბაბუასეული ვერცხლის თასი უფეშქაშა აკაკის. საუზმის შემდეგ აკაკიმ სურათი გადაიღო ორჯერ თ-დ მინგრელსკისთან და პრინცესსა მიურატთან, მეორეჯერ პატარა ბერიძის ქალთან. ხუთ საათზე ბ. აკაკი გამოემგზავრა სენაკისკენ; რამოდენიმე ვერსი საზოგადოებამ ეტლებით გამოაცილა. ამაღამ იგი ფოთში ჩავა და ბ. ნიკოლაძეს ინახულებს.

მისმა ჩამოსვლამ მეტად აღფრთოვანა ხალხი და სიმხნევე მოუმატა. სასურველია, რომ ბ. აკაკი ლეჩხუმსაც და რაჭასაც ესტუმრებოდეს.

უქმეყოფილი.

ტფილისის დასის გასტროლები ხონში

ტფილისის დრამატიულ დასის მსახიობნი 5—6 მაისს ხონელებსაც გვეწვივნენ. 5 მაისს მათ წარმოადგინეს „პარიზელი ბიჭი“ კომედია ორ მოქმედებად და „გულმა იგრძნო“ ვოდევილი ერთ მოქმედებად. მ. საფაროვა აბაშიძისას საზოგადოება დიდი აღტაცებით შეეგება. პატივცემული მსახიობი ქალი საზოგადოებამ თაიგულების მიძღვნით და ხანგრძლივის ტაშისცემით დააჯილდოვა. საუცხოვოდ შეასრულა პარიზელი ბიჭის როლი, მ. ს. აბაშიძისამ. მისი თამაში საზოგადოებას ძალიან მოეწონა. მეტად კარგად დაგვიხატა ცქრიალა ცელქი გულკეთილი ბავშვის ფიზიონომია. დანარჩენებმა როლები ყველამ კარგად შეასრულა. წარმოდგენების შემდეგ წაიკითხეს ლექსები ივანიძემ და გრიშაშვილმა. საზოგადოებამ ის ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. წეს-რიგი ნაკლებ იყო დაცული. თავ-თავის ალაგს არ ისხდნენ. და ცუდ გავლენას ახდენდა ხალხზე.

მეორე დღეს ამავე დასმა წარმოადგინა „პეპო“ და „რაც არ მერგება არ შემერგება“ პეპოს როლში ი. ივანიძე გამოვიდა, როლი კარგად ჩაატარა. კარგი იყო ამასთანავე პეპოს ამხაგ კინტოს როლში ი. გრიშაშვილი, იმერელ ბიჭის როლში აბდუშელი სუსტობდა. მიხვრა-მოხვრაში და გამოთქმაში იმერელს ბაძავდა, მაგრამ იმერულს კი არაფერი მიუგავდა. ვოდევილში ძრიელ მოეწონა საზოგადოებას ტასო აბაშიძე.

ხალხი კიდევ ბლომად დაესწრო, თუმცა შემოსავალი წინა საღამოს ოდენა არ იყო. ამ საღამოს თითქმის ყველამ იაფ-ფასიანი ბილეთი იყიდა. ლაპარაკობდენ: რისთვის უნდა ვიყიდო 1—50 კაპ. ბილეთი როდესაც 30 კაპ. ბილეთითაც შემიძლიან ამ ალაგზე დავჯდეო. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ.

ვინმე ივერიელი.

ახალციხის აპ-კარგი

როგორც წინაზედაც ვწერდით 5 მარტს ვაჭარს ვასო ყარსელიშვილს თავის სახლში **ყული გამოსჭრეს** ვიღაც ბოროტ-მოქმედთა და რაც კი ნახეს სახლში ყოველივე წაიღეს.

ამ საზიზღარ მკვლელობის თაობაზე პოლიციამ ბევრი მეზობლები რაბათელები დასჩხრიკა და ბევრი შეიპყრეს.

19 აპრილს კი პოლიციამ ნაქურდალიდან ს. ქიქინეთში, აღმოაჩინა მოკლული ყარსელიშვილის ვერცხლის საათი, რომელიც ისმაილ-ოღლის ბოსელში ყოფილა ჩაფლული. და ს. წყუროთში მოლა ამადას სახლის კედელში ჩატანებული ყარსელიშვილისავე აბრეშუმის მოსახვევი და ცხვირსახოცი უპოვნიათ.

ამ ნიშნების აღმოჩენამ ერთობ გაახარა რაბათის ხალხი, რომელთაც, როგორც ხმა დადიოდა, აეცილა ეგზეკუცია.

არაა ეჭვი რომ დანარჩენი დაკარგულებიც აღმოჩნდება, აღმოჩნდება ნამდვილი დამნაშავეც, რომელიც კანონიერადაც იქნება დასჯილი.

შეპყრობილია წყუროთელი მოლა ამადა, რომელსაც პირველ ბოროტმოქმედად ასახელებენ, ქიქინეთელი ისმაილ-ოღლი და სხვა მათი მეზობლებიცა. სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

როგორც გავიგეთ, მაზრის უფროს, რამოდენიმე კვირე ვადა მიუცია წყუროთის და ქიქინეთის საზოგადოებისთვის დანარჩენი ნივთები აღმოაჩინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვანაირ ზომებს მიიღებს.

21 აპრილს, საზაფხულო სამხედრო ბანაკში, რომელიც ახალი ნაწილის განაპირა ადგილას არის, **მოუპარნიათ** დიდი სპილენძის ჩაის სადუღებელი, რომელიც 11 ფუთსა და 10 გირვ. იწონიდა თურმე.

მოპარული, ბოროტმოქმედთ და უპეჭყიათ და იქავე მახლობელ მდ. ფოცხოვში ჩაუგდიათ შესანახად.

პოლიციას მეორე დღესვე აღმოუჩენია დაკარგული მდინარეში და ეჭვით შეუპყრიათ ერთი.

აღდგომას დღესასწაულებში, ადგ. პროგიმნაზიაში გაიმართა **მოსწავლეთა ნახატების გამოფენა** პირველად.

გამოფენაზე შესვლა უსასყიდლოდ იყო. ბევრს მოეწონა ახალად გახსნილ პროგიმნაზიის მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასების პატარა ბავშების ნაშრომი.

20 აპრილს, ჩვენშიაც გაიმართა **„გვირილობა“**, როგორც სხვაგან.

დღესასწაულის ნიშნად, ადგ. პროგიმნაზიის და სამოქალაქო სკოლის, შიხშაევის კერძო პროგიმნაზიის მოსწავლებითურთ, თავ-თავიანთი მასწავლებლები, ყვავილებითა დ დროშებით სამოქალაქო სასწავლებლების მუზიკით დაიარებოდენ ქუჩებში და ჰყიდდნენ „გვირილას“. გვირილა იყიდებოდა სამოქალაქო ბაღსა, ფოსტის კანტორასა და ქუჩებში. იმ დღეს შხაპუნა წვიმამ თუმცა დიდად ხელი შეუშალა „გვირილობას, მაგრამ მაინც ყულაბებიდან 623 მან. 85 კაპ. აღმოჩნდა ყვავილის ნავაჭრი. კერძო შემოწირულებით ამავე დღესასწაულისთვის 178 მან. სულ შემოვიდა 801 მან. 85 კაპ. ხარჯი 30 მან. 64 კაპ. წმიდა შემოსავალი დარჩა 771 მან. 21 კაპ.

ჩვენში ორი **პროექტორია** გამართული შემოდგომის აქეთ და დიდ ფულსაც ხვეტავენ მათი პატრონები. ფულის კრეფას ჯანი გავარდეს, რომ წესიერად ჰქონდეთ სურათების ჩვენება დაყენებული. დიდი, პატარა, ქალი, კაცი ერთსა და იმავე დროს დაიარებიან, როდესაც არ არჩევენ თუ რა ასაკისას რა ნაირი შინაარსის სურათები აჩვენონ. ტრაგიკული, სამეცნიერო, ისტორიული, გარყვნილი და საოხუნჯო ერთიმეორეში აქვთ არეული. ნუ თუ 7—8 წლის ყმაწვილებს ტიტველა ხალხისა და კოკნა-ტლაშის ნახვა მოუხდებათ?, საჭიროა, ამაზე ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება და საბავშო პროგრამმა ცალკე შემუშავებიოს და კვირაში რამოდენიმე საათი საგანგებოდ ბავშვებისათვის გამართოს.

მოამბე.

მოწერილი ამბები

სოფ. ხეთა. (ზუგდიდის მაზრა) უკვე თვე სრულდება, რაც წვიმს. ამით ხვნა-თესვას შეუშალა ხელი. ნათეს მიწებში წყალი სდგას. თუ ასე გაგრძელდება მოსალოდნელია შიმშილობა.

ჩვენში არი ერთი პატარა ტბა, რომელსაც სახელად ჰქვიან „პაპანწყვირე“. ეს სახელი მეგრულია და ქართულად კი გამოითქმება „მღვდლის ნაქცევი“. ტბა ღრმა არის, ზომით ერთი ქცევა იქნება. მოთავსებულია ფრიალო კლდეებს შუა. რამდენიმე წლის წინეთ გაუზომიათ მისი სიღრმე ადგილობრივ მოაჯრეებს, ნავით შეცურებულან შუა-გულ წყალში და-100-საჟენიანი 10 გირვანქიანი გირი მობმული ბაწარი ჩაუშვიათ, მაგრამ ტბის ძირამდე ვერ დასწვდენია.

ალექსანდრე-გოგინავა.

ბორჯომი. აქ არსებობს წ. კ. გ. ს. ბორჯომის განყოფილების უფასო წიგნსაცავ სამკითხველო, რომელიც ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდის, 1912 წლის ქირა 20 თუმანი ჯერ კიდევ მიუცემელია და შენობის პატრონი ამთავით სთხოვს გამგეობას 100 მანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში შენობა უნდა დასცალონ. გამგეობამ გადასწყვიტა გაემართათ **დიდი სეირნობა 13 მაისს** სამკითხველოს, სასარგებლოდ. აიღეს ნებართვა, სთხოვეს ქართულ რუსულ დასებს მონაწილეობის მიღებად, რაზედაც იგინი სიამოვნებით დასთანხმდნენ; იქირავა პარკი, მოიწვია მუზიკა, საზანდარი, ამოირჩია დახმარების მომკრები კომისია. საქმე გაჩარხული იყო, მაგრამ უმტყუნა ბედმა. ბორჯომის საზოგადოების ერთმა ნაწილმა სწორედ ამ დღისთვის დანიშნა „სამღთო“, კაცის თავზე 1 მ. 50 კ. მოაგროვეს. ამ საქმისთვის ყველამ სიამოვნებით გამოიღო ფული. გამგეობამ სთხოვა „სამღთოს“ ხელმძღვანელთ რომ 13 მაისი დაეთმოთ მისთვის, სამღთო კი მერე გამართათ.

იმედია „სამღთოს“ გამმართველნი ხელს არ შეუშლიან სამკითხველოს სასარგებლოდ დანიშნულ სეირნობას 13 მაისს და „სამღთოს“ სხვა დროისათვის გამართავენ.

ბორჯომელი.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

მაიმაჩენი. ურგის ხუტუხტას მთელ მონგოლეთში განკარგულება დაუგზავნია, რითაც განმარტავს მონგოლეთის მდგომარეობას და ხალხს ერთობისაკენ მოუწოდებს.

კულჯა. ურუმჩიისა და კულჯას გზა გაუხსნიათ.

პეკინი. კაშგარში არეულობაა. რუსეთის ელჩს ჩინეთისათვის განუცხადებია, თუ თქვენ ვერ მოახერხებთ მცხოვრებთა უზრუნველყოფას, რუსეთის მთავრობა ჩაერევა საქმეში.

ხარბინი. ქაილარში მონგოლეთის ხუტუხტას წარმომადგენელი ჩამოვიდა და უნდა გამოუცხადოს მონგოლებს ქულუნბუირის მარის დამოუკიდებელ მონგოლეთისათვის შეერთების ამბავი. მთავრობამ ახალი ბეჭედი მისცეს.

მუკდენი. ჯაოერსუნს აცნობეს, ციციკარისა და გირინის პროვინცია შენს მფლობელობაში აღარ იქნებაო. ჯაოერსუნმა აქაურ მოხელეებს თავი მოუყარა და წინადადება მისცა, ჯამაგირები დაიკლოთო. მოხელეებმა უარი სთქვეს. ჯაოერსუნი ფინანსთა მინისტრს სუნსილინს ფინანსების განზრახ გართულებას და მუკდენის მთავრობისათვის გაუგზავნელობას აბრალებს და დასასრულ ხელმეორედ მოითხოვს სამსახურიდან გადადგომას.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

რომი. იტალიის საზოგადოება ძალიან აღუშფოთებია ოსმალეთიდან იტალიელთა განდევნის ამბავს, სულ უნდა განდევნონ 50 ათასი კაცი. მეფის მიბაძვით გაძევებულთა დასახმარებლად დიდძალ ფულს აგროვებენ.

პერიმი. იტალიის კრეისერებმა 7 მაისს დუბაზე ზარბაზანი დაუშინეს მაგრამ ვერა დააკლეს რა. პერიმის დასავლეთით [illegible] გემი დაიჭირეს და როცა გაუშვეს, დუბაში თავისი სურსათი დასტოვა. იტალიელებს ჰსურდათ სურსათის მითვისება, მაგრამ ოსმალებმა სროლა აუტეხეს და უკუაქციეს. მეორე გემი დუბაბს ახლო 6 მაისს დაიღუპა. არაბებმა 2 ათასი თოფი და ტყვია-წამლით სავსე 200 ყუთი წაიღეს.

რომი. „სტეფანის სააგენტოს“ ბუშა-მეციდან ატყობინებენ: იტალიის ჯარმა ბუშმეცის თხრილებში ჩასაფრებული ოსმალნი დაამარცხა და იფრინა. ოსმალნი ძლიერ დაზარალებულან.

რომი. მეფემ 100 ათასი ფრანკი გადასდო ოსმალეთიდან გაძევებულ იტალიელთა დასახმარებლად.

7 მაისს გემ „ნეაპოლს“ დაემორჩილა კუნძულ ხოსის (?) უფროსი, ჟანდარმერია და სამოქალაქო მოხელენი.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

თეირანი. მოჯელალ-ეს-სულტანეს უძრძოლველად დაუთმია დიზეს პოზიცია და როგორც ამბობენ კორვეს იქით მდებარე საკუთარ ბინაზე წასულა.

თავრიზი. სპარსეთის მთავრობას რუსის მთავრობამ დაუბრუნა 16 ზარბაზანი, რომელიც დეკემბრის არეულობის დროს წაურთმევიათ.

დაიწყო მოქმედება რუსეთ-გერმანიის კომისიამ, რომელმაც საზღვრების საქმე უნდა მოაგვაროს.

თავრიზი. ეფრემის მოკვლის ამბავი 7 მაისს თავრიზელ მაჰმადიანებს ძალიან გაახარებიათ. ამის გამო, ზოგიერთ მდიდრის სახლში საზეიმო კრებები გაუმართავთ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

10 მაისი.

რუსეთის ელჩის გარდაცვალება.

ბერლინი. გერმანიის სასახლეში მყოფი რუსეთის ელჩი ოსტენ-საკენი მონტე-კარლოში გარდაიცვალა.

ოსმალეთის ვითარება.

უსკუბი. ისტოკის სოფელთან არნაუტებს 500 ჯარისკაცისათვის იარაღი აუყრიათ.

დიაკოვო. ალბანელებმა და ოსმალებმა ათის დღით ზავი ჩამოაგდეს.

სკუტარის ვილაიეთში, ვალონას, ალბანელებსა და ჟანდარმებს ბრძოლა ჰქონიათ. მირიდიტებიც უკმა-

---

დავად ის მაინც ნამდვილი ქართველი მწერალია. მისი ქართველობა ისე თვალსაჩინოდ არსად გამოჰკრთის როგორც მის ენასა და სტილში.

ბარნოვის ენა საუცხოვოა: ის არაჩვეულებრივად მრავალ-მხრივია და მდიდარი; ის წმინდა და სპეტაკია ხელ-უხლებელ უცოდველ ქალწულივით. ამ ენას არ შეჰხებია მურტალი ხელი ბარბაროსობისა. ის ხან ნაზი და მოქნილია ნორჩ ლერწამივით, ხან მძიმე და ძლიერი ბრინჯაოს ქანდაკებასავით. ის სავსებით შეესაბამება აზრთა მიმდინარეობას. მკითხველი არასოდეს არ გრძნობს დისჰარმონიას ფორმასა და შინაარსს შორის, მიტომ რომ, ბარნოვი არასოდეს სიტყვებს უადგილოდ არ ჰხმარობს, ის არასოდეს არ აშიკობს ლამაზი გამოთქმით.

სხვა ახალგაზრდა ქართველს მგოსნებს კი უმეტეს ნაწილად დიდი ნაკლი ეტყობათ ამ მხრივ. მათ აქვთ საერთო ლექსიკონი პოეტურ სიტყვათა და გამოთქმათა და ამ სიტყვებს ისინი წარამარა ჰხმარობენ, ხშირად სრულიად უაზროდ და უადგილოდ. დღეს თითქმის ყოველ ქართულს ლექსში წააწყდებით შემდეგს სიტყვებს: ჩანგს, სიმს, ჰანგს, ჰიმნს, ჰარმონიას, სიმფონიას, მელოდიას, სიმბოლოს, შარავანდედს და სხვა ამ გვარ გამოთქმათ, რომელნიც ტრადიციის მიერ ლამაზად არიან აღიარებულნი. ეს სიტყვები ისე შეუბრალებლად გასცვითეს ჩვენმა მგოსნებმა, რომ ხშირად მათი გაგონება ზღვის ავადმყოფობის მაგვარ მდგომარეობას იწვევს ადამიანში. შეიძლება ყველა ზემოდ მოყვანილი სიტყვა მართლაც მშვენიერი იყოს თავის ადგილას, სადაც ის განსაზღვრულს სულიერ შინაარსთან არის შეკავშირებული, მაგრამ ამასთანავე უხამსი და შეუსაბამო ქოთნების სახელოსნოში,

ბარნოვის ლექსიკონი პირიქით აღსავსეა ახალი, სრულიად უჩვევი გამოთქმებით. მისი სტილი განუმეორებელია. საკმაოა ორიოდე ამოგლეჯილი წინადადებაც რომ, დაკვირვებულმა მკითხველმა მაშინვე იცნოს ბარნოვის მოთხრობა. უსტილო მწერლის ნაწერს კი ვერასოდეს იცნობ, თუ ბოლოში ავტორის გვარი არ ამოიკითხე.

ქართული ენის სულს ეს უცნაური ოსტატი ისე ღრმად ჩასწვდომია, მისი თავისებური ხასიათი მას ისე შეუსისხლხორცებია, რომ მისი მოთხრობების უცხო ენაზე გადათარგმნა თითქმის შეუძლებელია. ყოველს შემთხვევაში თარგმანი ვერასოდეს ვერ გადასცემს ამ წმინდა ეროვნულ შემოქმედების უბრალო და ღრმა პოეზიას.

ძნელი გადასაცემია ის ჰუმორიც, რომელიც უმეტეს ნაწილად ქართველობის სპეციფიურ ნაკლოვანებას ილებს ნიშანში. ეს ჰუმორი ნაზი და გულკეთილია. ბარნოვი თავის გმირებს უცქერის არა როგორც უცოდველი მსაჯული, არა როგორც ულმობელი ჯალათი, არამედ როგორც ჩვეულებრივი მომაკვდავი, რომელიც თავისივე ბუნების სიღრმეში გრძნობს ადამიანურს ხინჯს და სათნოებას.

„თებერას დანიშნული“ ბარნოვის საუკეთესო მოთხრობაა. ამასთან ერთად ის ერთი უძვირფასესი განძია ქართულ ლიტერატურის ღარიბს სალაროში.

ეს მოთხრობა უნაკლულოა როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. ის დამთავრებულია ესთეტიურად. მასში არ არის არც ერთი ადგილი, სადაც მკითხველს შეეძლოს შებორძიკება, ან შინაგანი წინააღმდეგობის გრძნობა, იმდენად დამაჯერებელია მისი ძალა.

ეს არის უბრალო ისტორია ორი ობოლი სულის სიყვარულისა. ავტორი მოგვითხრობს ერთს იმ ყოველდღიურს დრამას, რომელიც ჰხდება არა ფართე საზოგადოებრივს ასპარეზზე, არა მსოფლიო ისტორიის სარბიელზე, არამედ სადღაც მივარდნილ და მივიწყებულ სოფლის კუთხეში ორ უპატრონო, საბრალო ადამიანის ცხოვრებაში. კაცობრიობის მატეანეში არავინ აღბეჭდავს ასეთს უსახელო დრამას, მაგრამ ადამიანობის შინაგანი აზრის გასაგებად ის შეიძლება არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს ვიდრე გამოჩენილ ისტორიულ პირთა გმირობა. მიტომ რომ ეს უკანასკნელი ხშირად არბევს და ანადგურებს, ის პირველი კი ააშკარავებს იმ „ფარულს ტაძარს“ ჩვენს შეუგნებელს ბუნებაში რომ არის დამარხული.

თებერა, ეს გაუნათლებელი მოჯამაგირე გლეხი, ნაზს ყვავილს ჰგავს ქაობში რომ იზრდება შხამიან მცენარეთა შორის. ის თითქოს იმისთვის არის გაჩენილი ამ სოფლად, რომ ტლანქი, მოუხეშავი და ბოროტი ადამიანების წრეში ცოტაოდენი სინათლე და სითბო შეიტანოს. ეს არ არის სინათლე შეგნებისა ან განათლებისა. ამისთვის თებერას ძალა არ შესწევს. არა, ეს არის შუქი ზნეობრივი სიფაქიზისა, ერთგულებას, თავდადებას და კეთილშობილებას რომ დასდევს თან.

ცხოვრებაში ორგვარს ზნეობრივს ტიპს აქვს ადგილი. ერთი არის „ვალდებულობის ადამიანი“ (კანტის იდეალი). ეს ისეთი ზნეობრივი პიროვნებაა, რომელსაც გათვალისწინებული და შეგნებული აქვს თუ რაში მდგომარეობს ვალდებულების იდეა და მიზან-შეწონილად ახორციელებს მას, ხშირად ძალდატანებით, თავისი შინაგანი ლტოლვის წინააღმდეგ. ასეთი ადამიანის ეთიური მოქმედება აგებულია არა მის უშუამავლო ბუნების საძირკველზე, არამედ მის შეგნებასა და რეფლექსიაზე.

მეორე ზნეობრივი ტიპი „მშვენიერი სულია“ (შილლერის და გიოტეს იდეალი). მისი ზნეობრივი შემოქმედება უმეტეს ნაწილად სრულიად შეუგნებელი და ინსტინქტიურია ის გამომდინარეობს არა იდეალების აწონ-დაწონისა და გათვალისწინებისგან, არამედ უშუამავლო ლტოლვათაგან. ასეთი პიროვნება ბევრს საგმირო საქმეებს ანხორციელებს, მაგრამ ხშირად თვით მას არ ესმის თავისი შემოქმედების ფასი და ღირებულება. მიტომ რომ სიკეთე „მშვენიერი სულისთვის“ არის არა გარეშე, დამოუკიდებელი იდეა, არამედ შინაგან ძალთა ჰარმონია.

ბარონოვის თებერა ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის. ის შეუგნებელს მცენარეს ჰგავს, რომელიც გაზაფხულზე თავისთავად ჰყვავის, რადგან ამით თავის ბუნებრივს დანიშნულებას ასრულებს: მაგრამ ამასთან ერთად ის ადამიანის თვალსაც ატკბობს და ყნოსვას ანებივრებს, თუმცა ეს ეფექტი მის მიზანს სრულიადაც არ შეადგენს. არც თებერას შეეძლო თავის მოქმედების იდეალად თანაარსთა ზნეობრივი განსპეტაკება დაესახა, მაგრამ მისი კეთილი და ნათელი სახე ძალაუნებურად აშუქებს სიცივესა და სიბნელეში.

ბარნოვის ნიჭის სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ მან ამ უბრალო გლეხის პიროვნებაში მოგვცა არა მორალური მქადაგებელი ან იდეებით დატვირთულ რეზონიორ, არამედ უსიტყვო მოქმედების ადამიანი. ფილოსოფოსი გლეხი ესთეტიური ტყუილი იქნებოდა; სუბიექტიური „თხზულება“ ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით, მოქმედი და უკანდაუხედავი თებერა კი თვალხილული ჭეშმარიტებაა.

მაგრამ აქ ძალაუნებურად იბადება საკითხი: არის კი ეს მართლაც ასე, წარმოადგენს თებერა ნამდვილს თვალხილულს ჭეშმარიტებას? თუ ის შეიძლება მხოლოდ ავტორის აღვირახსნილს ფანტაზიაში არსებობს? განა ჩვენ გაუნათლებელი სოფლის ბნელს და დუხჭირს სინამდვილეს შეუძლია ასეთი კეთილშობილი პიროვნების წარმოშობა?

და მართლაც თებერა ხომ არაჩვეულებრივი ადამიანია. ის განიცდის ინდივიდუალურს სიყვარულს მთელი მისი სინაზით და მიუწდომელის მრავალმხრიობით. ის ეონაში აფასებს არა მის ჯანსაღობას, გარეგნულს სილამაზეს ან მდგომარეობას არამედ შინაგანს პიროვნებას. ის აფასებს ქალის ფარულს ინდივიდუალობას, რომლის დანახვა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც შესწევს ჭეშმარიტი სიყვარულის ნიჭი. ერთნაირი რაინდობაა საჭირო ამ უხილავი საუნჯის აღმოსაჩენად, რაინდული თავდადება და სულის ნათესაობა არჩეულს არსებასთან. თებერას შესწევს ეს რაინდობა. ის თავს სდებს საყვარელი ქალისთვის, ის ივიწყებს თავის მეურნეობას, თავის თავს და სამს წელიწადს უცდის ეონას მორჩენას, თუმცა მას ადვილად შეეძლო უფრო ლამაზი, ჯანსაღი და მზითვიანი ცოლი შეერთო.

გერონტი ქიქოძე.

(დასასრული იქნება)

ყოფილონი არიან, რადგან ჟანდარმებად გაჰყავთ. გადაუბუგავთ რამდენიმე სახლი და ჟანდარმთა საკუთრება. თავს დასხმიან ჟანდარმთა სადარაჯოს.

საფრანგეთის პალატის პრეზიდენტი.

პარიზი. „ჰავასის სააგენტო" იუწყება, დელკასემ არ მოინდომა პალატის საპრეზიდენტოდ კანდიდატურის წამოყენებაო.

კანდიდატებად ასახელებენ ეტიენს, დეშანელს, კოშერს და რენუს, რომელთაც პალატის მემარცხენენი უჭერენ მხარსა. ბრძოლა საპოლიტიკო პროგრამის გამო კი არ გაუმართავთ, პიროვნების გარშემო სწარმოებს.

გერმანიის რეიჰსტაგი.

ბერლინი. რეიჰსტაგმა მოიწონა რამდენიმე კანონ-პროექტი, სხვათა შორის ბულგარეთის ხელშეკრულება და 1912—1913 წლის ხარჯთაღრიცხვა.

ბიუჯეტის გამო კვლავ ცხარე კამათი ასტყდა. სოციალისტი კაიზერი იმპერატორის მიერ სტრასბურგში წარმოთქმულ სიტყვებს შეეხო და პრეზიდენტმა ორჯერ გააფთხილა. იმპერიის კანცლერმა, მემარჯვენეთა გასახარებლად, იმპერატორის დასაცავად ცხარე სიტყვა წარმოსთქვა. რეიჰსტაგის სხდომები 13 ნოემბრამდის გადასდეს. სხდომის დასრულებამდე კანცლერმა იმპერატორის სახელით დეპუტატებს მადლობა გამოუცხადა მოღვაწეობისათვის, განსაკუთრებით სამხედრო კანონ-პროექტის მიღებისათვის.

ჰუნგრეთის პალატა.

ბუდაპეშტი. დარბაზი დეპუტატებითა და ხალხითაა გავსებული. დეპუტატმა კოშუტმა განაცხადა პრეზიდიუმის არჩევანი წესდებას ეწინააღმდეგება და ამიტომ ჩვენი პარტია არ მიიღებს მონაწილეობასაო. იუსტას პარტიის წარმომადგენელმა პოლონიმ განაცხადა, თავმჯდომარემ წესდება დაარღვიაო. პრეზიდენტის არჩევნების დროს დარბაზში საშინელი ხმაურობა და მემარცხენეთა პროტესტი ასტყდა. დეპუტატი კოვაჩი მეორე დეპუტატს ალძასიის იმ დროს ეცა, როდესაც ყუთში ბიულეტენს აგდებდა. დაიწყო ბრძოლა. სხდომა შესწყვიტეს. მოჩხუბარნი გააშველეს. შემდეგ კენჭის ყრა განაგრძეს, თუმცა ხმაურობა არ შეწყვეტილა. ოპოზიცია დარბაზიდან გავიდა. დიდ ხმაურობის დროს გამოაცხადეს, ტისა არჩეულია 210 ხმითაო. შემდეგი სხდომა 10 მაისს მოხდება. განსახილველია სამხედრო კანონი.

სუფრაჟისტკების საქმე.

ლონდონი. ქალთა მოძრაობის ბელადებს (სუფრაჟისტკებს) ექვსი თვის ციხე გადაუწყვიტეს.

ელჩის დაბრუნება პეტერბურგში.

პარიზი. ელჩი ლუი ისევ პეტერბურგს გაემგზავრა.

რუსეთი

საბიუჯეტო კომისია.

პეტერბურგი. სათათბიროს საბიუჯეტო კომისიამ მოიწონა პროექტი თურქისტანსა და ამიერ კავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის 230 ათასის მანეთის გადადებისა.

ნოვიკოვის სიკვდილი.

ოდესა. გარდაიცვალა სოციოლოგიის და საპოლიტიკო ეკონომიის კარგი მცოდნე იაკობ ნოვიკოვი.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. ოთხშაბათს, 9 მაისს, სახალხო სახლში წარმოადგინეს „სოფლის გმირები", ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული 4 მოქმედებიან დრამა. განსაკუთრებით საუცხოვოდ ჩაატარა სპირიდონის როლი მეტრეველმა და სვიმონიძემ ტარიელისა. არა უშავდა რა ჯანკვეტაძეს ირაკლის როლში; კარგი იყო ქ-ნი ლეჟავა ანიკოს როლში თუმცა უადგილოდ გაეცინა იმ დროს, როდესაც მას, ავადმყოფს, ექიმი შინჯავდა. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

განსაკუთრებით საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე მეოთხე მოქმედებამ; მაყურებლების თვალ წინ სადგური იყო მთელი თავისი დამახასიათებელი წვრილმანებით. ნიჭიერ რეჟისორს ალ. წუწუნავას აქ ყველაფერი განესაზღვრა, გაეთვალისწინებინა და ყველასათვის თავისი ადგილი მიეცა.

ზოგიერთმა სიცოცხლით სავსე სურათებმა, მაგალითად, ყვავილებით ხელში ბავშვების გუნდის სიმღერით შემოსვლამ ავადმყოფ ანიკოსთან, სპირიდონის გამწარებამ ანიკოს სიკვდილის დროს და სხვებმა ბევრი დამსწრეთაგანი აატირა.

ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა. **ი. ი—ი.**

ლანჩხუთი. კვირას, 13 მაისს, **ჯაყელის საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება „საბედისწერო დამბაჩა" დრ. ტრ. რამიშვილისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნ ჩარკვიანი ბ-ნნი საარელი, ჟუჟისპირელი, ქორელი და სხვა.

ბაქო. ვასო აბაშიძის გასტროლი ბაქოელებისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. უკვე გწერდით, რა კარგად ჩაიარა ნიჭიერ მსახიობის მონაწილეობით გამართულმა პირველმა წარმოდგენამ. უფრო მეტი აღტაცება გამოიწვია მეორე წარმოდგენამ, ექვს მაისს: ამ დღეს ბაქოელებმა მოიგონეს ჩვენი ნიჭიერი დრამატურგი ასიკო ცაგარელი და მისი გარდაცვალების ათი წლის აღსანიშნავად, დასდგეს განსვენებულის ერთი საუკეთესო პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"! ვასო აბაშიძემ ავეტიქას პატარა, მაგრამ ტიპიურ როლში მოაჯადოვა ბაქოელნი. წარმოდგენის შემდეგ ტაშს დასასრული აღარა ჰქონდა. ერთი ოცჯერ მაინც გამოიწვიეს. წ.-კითხვის საზოგადოების აქაურ განყოფილების გამგეობამ, რომლის მეთაურობით იმართება აქ წარმოდგენები, საყვარელ არტისტს მიართვა ვერცხლის პორტ-სიგარი, რომელშიაც აღმოჩნდა პატარა ნობათი—ათ თუმნიანი, მიძღვნილი ბ-ნ ი. მანსვეტაშვილის მიერ.

ჩვენმა სცენის-მოყვარეებმაც თავი ისახელეს ამ დღეს. ისინი ღირსეული პარტნიორები იყვნენ ღირსეულ მსახიობისა.

წარმოდგენის დაწყებამდე ბ-ნმა ნასიძემ გააცნო დამსწრეთ განსვენებულ დრამატურგის ასიკო ცაგარლის ცხოვრება და შემოქმედება.

წარმოდგენის შემდეგ გამგეობის და სექციის წევრმა, სცენისმოყვარეებმა და სხვა ქართველებმა ნადიმი გაუმართეს ჩვენს სტუმარს.

პირველმა ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო: ვ. აბაშიძის გასტროლების წყალობით გაიმართა მშვენიერი წარმოდგენები და, ამას გარდა, შემოსავალმაც ბევრად გადააჭარბა ხარჯს.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ვიმედოვნებ ცოტა ადგილს დაუთმობთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ მცირე შენიშვნას *).

ამა წლის 563 „სახალხო გაზეთ"-ის ნომერში, „ქუთაისის ავ. კარგში" ნათქვამია: „ნეტავი რას იტყვის პატივცემული ხმოსანი მოსე ქიქოძე, რომლისათვისაც ხანგრძლივ ცხოვრებას ქვეყანაში დაუნახვებია, რომ ჩვენ (**იგულისხმეთ ქართველები**) ფული არ გვაქვს, არ გვაქვს ცოდნა და, რაც უფრო უარესია, არ გვყავს პატიოსანი კაცები. უკედ რომ ვსთქვათ ბ. მოსე ქიქოძემ ისეთი ატტესტაცია მისცა **ჩვენ ხალხს** (ხაზი ყოველგან ჩემია), რომ ჩვენ მტერმოყვარეთაც გაუძნელდებოდა ჩვენი ასეთი დახასიათება". ამ ჩემ წერილთანვე მოგართმევთ შემოწმებულს ჯეროვნულად აღმოწერილობას საბჭოს ოქმიდან, საიდანაც დაინახავთ შემდეგს: ქალაქის საბჭოში **ხმოსნებს** გვქონდა ბაასი **ქალაქის** წყლის მილის გაყვანის შესახებ, ზოგი თხოულობდა „საოჯახო წესით" გავიყვანოთო, ზოგი კი წინააღმდეგი აზრის იყო, უკანასკნელებთ შორის გახლდით მეც და ოქმში აი, რა სწერია: „ბ. მოსე ქიქოძე წინააღმდეგია საოჯახო წესით წყლის მილის გაყვანისა და ასაბუთებს თავის აზრს მითი, რომ **ქალაქის მმართველობა**, რომელმაც ვერ შესძლო საოჯახო წესით წაყვანა ხეირიანად ისეთ არა რთული საქმისა, როგორც ეკლარის ქვისსატეხი ანუ ქალაქის განათებაა, მით უმეტეს ვერ შესძლებს წინ გაუძღვეს იმგვარ რთულ საქმეს, როგორიც არის წყლის მილის გაყვანა; ამ ერთობ რთული საქმისთვის საჭიროა **შეძლება, გამოცდილი,** მცოდნე, კეთილ სინიდისიანი კაცები, რომელნიც უნდა ეკიდებოდნენ საქმეს ისე გულწრფელად, როგორც თავის პირად საქმესა, მაგრამ, რაკი ქალაქს არა აქვს თავისი საშუალება, არა ჰყავთ ამ საქმისათვის მომზადებულნი პირნი რომელთაც ქალაქის საქმეებზედ, გული ისე ეწოდეს როგორც თავიანთ პირად საქმეზედ ამისათვის ბ. ქიქოძე ამჯობინებს კონცესსიურ წესით მილის გაყვანას"

ჩემის ფიქრით განსაკუთრებული ლოღიკის პატრონი უნდა იყოს ის კაცი, რომელმაც ამ ჩემ სიტყვებიდან გამოიყვანა ის დასკვნა, რა დასკვნაც გამოუყვანია ბ. ქუთაისის „ავ. კარგის" ავტორს! მართლაც, მე ვლაპარაკობდი: ქალაქის **მმართველობას** არა აქვს შეძლება, არ ჰყავს სპეციალურად საკმაოდ მომზადებული სინიდისიერი საზოგადო მოღვაწენი; რანაირად შეიძლება ამ სიტყვებში „იგულისხმოს" კაცმა ქართველი **ხალხი** ანუ **ქართველები**? ბ. ქუთაისის „ავ. კარგის" ავტორს რომ ეგულისხმა ამ ჩემს სიტყვებში ქალაქის მესვეურნი ხმოსნები, მაშინ კი არაფერს ვიტყოდი, თუმცა მე ვსთქვი: „სამწუხაროდ ჩვენს **ინტელიგენციაში ცოტანი** მოიპოვებიან ისეთი კეთილსინიდისიერი და პატიოსანი პირნი, რომელნიც ქალაქის ინტერესებს ისე უყურებდნენ, როგორც თავიანთ პირად ინტერესებს; მაგრამ როდესაც ქუთაისის „ავ. კარგის" ავტორი ვერ არჩევს ხალხს და ყველა ქართველებს ქალაქის **მმართველობიდან**, ხმოსნებიდან ან ერთი მუჭა ინტელიგენციიდგან, მაშინ ძალაუნებურად ვკითხულობ: რა წადილმა აამოძრავა ქუთაისის „ავ კარგის" ავტორის კალამი გამოიყვანა ესეთი უცნაური დასკვნა ჩემი სიტყვებიდან? არ მესმის ისიც, თუ რატომ დაჰფარა უცნობმა ავტორმა ის აშკარა ფაქტი, რომ, თუ ჩემმა სიტყვებმა გამოიწვია პროტესტი ბ.ბ. ქორქაშვილისა და ნაზაროვისა, ამ უკანასკნელ პროტესტმაც ჩემი სიტყვების წინაამდეგ გამოიწვია პროტესტში ბ. ბ. ექიმი ნასარიძისა, გველესიანისა და სხვ.

დასასრულ ვერ მიმხვდარვარ, რამოსაზრებით მიუკერებია ბ. „ავ-კარგის" ავტორს ზემო მოხსენებულ ცილის წამებაზედ გუნცაძის და სხვების პროცესი? ნუთუ ის მაინც ვერ მოისაზრა, რომ ზრდილობა და პატიოსნება არ მაძლევს უფლებას შევეხო აქ მესამე პირის მოღვაწეობას და განვიხილო ის კითხვა, თუ რამდენად აღასრულა მან იმედი საზოგადოებას?*)

მოსე ქიქოძე.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა ვუძღვნა საყმაწვილო ჟურნალების „ნაკადულის" და „ჯეჯილის" რედაქტორებს: ქ-ნ ნ. ნაკაშიძეს და ქ-ნ ან. წერეთლისას, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩემდამი რწმუნებულ სკოლის ბიბლიოთეკას ძველი ჟურნალების ნომრები, პირველმა 46 წ. და მეორემ 30.

ს. გლდნის სამინისტრო სკოლის გამგე
მარიამ ტაბლიაშვილი.

---

*) დამიგვიანდა, რადგანაც საბჭოს ოქმი არ იყო დამტკიცებული. **მ. ქ.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე განვმარტოთ, თუმცა, რომ მართალია, ბ-ნი ქიქოძე ქალაქის თვით-მმართველობაზე ლაპარაკობს, როგორც ეს რედაქციაში წარმოდგენილ საბუთიდანა სჩანს, მაგრამ მაინც უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ბ. ქიქოძის სიტყვები. ფულის უქონლობა, გამოცდილ ხალხის არ ყოლა კიდევ შეიძლება საბუთად გამოდგეს, მაგრამ როდესაც ქალაქის თვითმართველობაში საჯაროდ აცხადებენ—თქვენ ოჯახურის წესით ვერაფერს გააკეთებთ, იმიტომ რომ უპატიოსნონი, პირადი ინტერესებით ხართ გაჟღენთილნიო,—ამისთანა სიტყვებზე არ შეეძლო უკმაყოფილება არ განეცხადებინა იმას, ვისაც არა ჰსურს თავის ზნეობრივ სიკოტრეს ხელი მოაწეროს. იმ ამონაწერიდან, რომელიც ბ-ნმა ქიქოძემ წარმოადგინა, სჩანს, რომ ბ-ნ ქორქაშვილის პროტესტის შემდეგ, ბ-ნმა ქიქოძემ ქალაქის თვით-მართველობის შესახებ ნათქვამი სიტყვები გადაიტანა ინტელიგენციაზე. „ჩვენს წრეში, ინტელიგენციაში,-ამბობს ბ-ნი ქიქოძე, **ცოტაა** კეთილ სინდისიერი, პატიოსანი მუშაკნი". ვფიქრობთ, ასეთი განმარტება დასკმაყოფილებლად ვერ, შეიძლება ჩაითვალოს. **რედაქ.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 დღის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 07, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 2, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 06, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 წ.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 18 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო სამკურნალო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, [illegible] ტელეფ. 71

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია".

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურ**ში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური"

ბაქოდან გადის:

ასტრახანისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.
კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.
ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.
ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.
ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.
კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.
მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახანიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.
კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.
ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.
ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**" ტელ. 682.

განცხადებანი

გ ა მ გ ე ო ბ ა

სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა

„**იდეალ**"-ის სთხოვს ბ.ბ. მეპაიეთა და ამხანაგობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ, მობრძანდნენ კანტორა'ში ოთხშაბათს, **16 მაისს**, საღამოს 7 საათზე, იმის გადასაწყვეტად, რომ დაუყოვნებლივ გაიხსნას ღვინისა, სპირტისა და სხვა ბითუმად მოვაჭრე საწყობი.
შუაბაზარი, ბირჟის პირდაპირ, შუაბაზრის შუკა, სახლი № 4. პაის შეძენა კიდევ შეიძლება. (3.440.2)

ქალაქის საუქციონო ზალა. (ველიამინოვის ქ.) მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად** და აგრეთვე **შესანახად.** მიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცვლელად 20°/₀, ხოლო შენახვის ფასად აიღებს 2°/₀-სა. დილით 9—3 საათამდის. (25.421.1)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„**606**" — 11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** .—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1074.46)

ამა წლის **5 მაისიდან**, კაპიტალურად შეკეთების შემდეგ, ხელახლა **გავხსენი მშვენიერი ბაღი** და **რესტორანი**, ვერაზე, საბურთალოზე, სახელად

რაზსვეტ

რესტორანში არის ყოველ-გვარი ევროპიული და აზიური საუზმე, აგრეთვე საუცხოვო კაბინეთები, სადილ-ვახშმებს ხელმისაწვდენ ფასებში ვაძლევთ, რასაც ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას.

პატივისცემით **ლ. ბარკალაია.**

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—57)

თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

გამოვიდა და იყიდება

თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქ უ თ ა ი ს შ ი)

შექსპირის შემდეგი წიგნები: „**ოტელო**", „**ჰამლეტი**" და „**მეფე ციმბელინი**", ნაამბობი ყრმათათვის, სამსონ ყიფიანის მიერ.
ფასი ერთი აბაზი, (5.1256.1)

გამოვიდა და იყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში ქუთ. ქართ. გიმნ. მოწ. გამოცემები:

1	მოთხრობათა კრებული ივ. ყ—ნისა	2 კაპ.
2	„მირიელ ეპისკოპოზი" დ. ბ—შვილისა	2 „
3	„სინიდისის ხმა" ვ. ნ—ძისა	2 „
4	„მოგზაური" ნ. ე—შვილისა	2 „
5	„ოქროს ფული" ლ. ფ—ვასი	2 „
6	„ცხოვრების გზა" ა. ქ—ძისა	2 „
7	„სოფელი კურთხეულა" ა. დ—ნისა	3 „
8	„ივანე სარდალი" ი. ყ—ნისა	3 „
9	„პატარა ქალის გმირობა" დ. ბ—შვილისა	3 „
10	„ნელო და პატრაში" შ. თ—შვილისა	4 „
11	„სამი მოთხრობა" დ- ნ—ვისა	3 „
12	„ძუნწი" გ. ერისთავისა	5 „

უმთავრესი საწყობი ქუთაისში მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (5—1257—1)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება უცხო ენიდან ნათარგმნი წიგნები:

აივენგო. ვოლტერ სკოტი. ფ.	1 მ. კ.
ათი მოთხრობა.	20 „
ამბავი და მოთხრობანი. ნათ. გ. ყიფშიძისა	15 „
აზიის მნათობი. ინდ. თქმულება.	10 „
ადამიანის ცხოვრება.	50 „
აღდგომა. ტოლსტ.	1—
ასის წლის შემდეგ.	1—
ბავშვის მოვლა. ნათ. ვას. მაჩ.	40 „
ბარტექ ძლევა მოსილი. სენკ.	20 „
გლეხი კაცის ისტორია.	2—50 „
გლეხი კაცი. პოლენცოსი.	1—
დონ-კიხოტი. ნათ. ნ. ავალ.	2—
დონ-კიხოტი. შემ. ნათ. დ. ყიფ.	25 „
დაკარგული სამოთხე.	40 „
დემონი. გურიელის ნათ.	10 „
ვაი ჭკუისაგან. ნათ. განდ.	35 „
ზვიმა. ქინაქინის ამბავი	10 „
თხზულებანი პუშკინისა.	50 „
იუდა. ლექსი ნადსონისა. ნათ. ი. ფერ.	5 „
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა.	50 „

კაიაფის ვაჟიშვილი. ნათ. ყუბ.	50 „
ლედი ჯენ. ჯემისონისა.	35 „
მიჯაჭვული პრომეთე, ედიპე-მეფე, მედია.	50 „
მარსელიელნი. ნათ. ელ. ანტ.	25 „
მაკბეტი. ივ. მაჩაბლ. ნათ.	40 „
მეუფება წყვდიადისა ლ. ტოლს.	40 „
მაზეპა.	20 „
მოლიერი.	50 „
ნაძირალნი, გორკ.	25 „
ნარკვევი ინგლისის ისტორიიდან	25 „
ორი ეტიუდი. რუბაკინი.	20 „
ოქროს მოყვარულნი.	15 „
რამას განდევნა. ნათ. ალ. სარაჯ.	40 „
რომანიდან „93 წელი", ჰიუგოსი	20 „
სპარტაკი.	60 „
შავი სპარტაკი.	40 „
ცეცხლითა და მახვილითა. ნათ. გ. ყიფშ.	1—60 „

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред. груз. насел. (წ. 1141.41)

ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ქუთაისში

ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი, ბროლისა და მინის საქონელი; ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამპები, საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კეროსიკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, მოხრილ ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა. ინგლისისა და ვარშავის კროვატები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები. კლიონკა და იატაკზე საფენები. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, ფირფიტები და ყოველნაირი და ყოველ-ხარისხის სიმები, პიანინო სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები, არმატურები და მოწყობილებანი, ორთქლით-მრეცხავები (პაროშიკები) ახალის სისტემისა და საეკლესიო ნივთეულობა. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთ. გუბ. და ბათომის ოლქის წარმომადგენლობაც: გვაქვს **საწერი მანქანა „ტორპედოსი"**. ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.7)

ქუთაისში

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა".